

8  
8-525

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ბერიაშვილი დარეჯანი შალვას ასული

ბერტოლტ ბრესტის დრამის „ეპიკური“ გადამუშავების  
პრინციპი

10.01.06 - ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

სადისერტაციო მაცნე  
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი  
1995

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ბერიაშვილი დარეჯანი შალვას ასული

ბერტოლტ ბრენტის დრამის „ეპიკური“ გადამუშავების  
პრინციპი

10.01.06 - ევროპისა და ამერიკის სალხთა ლიტერატურა

სადისერტაციო მაცნე  
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი  
1995

ნაშრომის ზოგადი დასასიათება

დისერტაცია შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

მეცნიერ ხელმძღვანელი - ფილოლ. მეცნ. დოქტორი,  
პროფესორი ზ. ჭარხალაშვილი  
ოფიციალური ოპონენტები - ფილოლ. მეცნ. დოქტორი,  
პროფესორი დ. ლაშქარაძე  
ფილოლ. მეცნ. კანდიდატი,  
დოცენტი ზ. ჩხენკელი

დისერტაციის დაცვა შედგება „ს“ 1995 წ. „16“  
ხაათზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საატესტაციო  
საბჭოს P 10.01 C №10-2 სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 36,  
კორპ. 5, აუდ. №48.

დისერტაციას შეიძლება გაეცნოს თსუ ბიბლიოთეკის სამეც-  
ნიერო დარბაზში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა „14“ 1995 წ.

-1517-

სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს  
სწავლული მდივანი,  
ფილოლ. მეცნ. კანდიდატი,  
დოცენტი  
რ. ცისთათორიშვილი

თემის აქტუალობა. ბერტოლტ ბრეხტის „ეპიკური“ დრამა და თეატრი ერთ-ერთი საინტერესო მოვლენაა ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურასა და თეატრალურ ცხოვრებაში. ბრეხტის პიესებისა და თეატრალური პრაქტიკის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა 60-70-იან წლებში, როცა მისი ლიტერატურული ნაწარმოებები მსოფლიოს ხალხთა თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა, ხოლო „ბერლინერ ანსაბლმა“ დიდი წარმატებით შემოიარა ცნობილი თეატრების სცენები. ბუნებრივია, რომ როგორც უცხოურ, ასევე ქართულ ენებზე შეიქმნა ვრცელი მეცნიერული ლიტერატურა, რომლებშიც დამუშავებულია ბრეხტის შემოქმედების ბევრი ძირითადი საკითხი.

მიუხედავად ამისა, როგორც ბრეხტის შემოქმედების ცნობილი მკვლევარები აღნიშნავენ, ჯერ კიდევ ბევრია შესასწავლი იმისათვის, რომ გაირკვეს ბრეხტის შემოქმედებითი მეთოდის ძირითადი ნიშან-თვისებები, რაც ხელს შეუწყობს ბრეხტის ნაწარმოებების შექმენებითი ღირებულებისა და მხატვრულ-სტრუქტურული თავისებურებების წარმოჩენას. სწორედ ერთ-ერთ ასეთ პრობლემად გვესახება ჩვენ ანალიზი „გადამუშავებული“ პიესებისა (Bearbeitungen), რომლებიც ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი, თანაც „გადამუშავებული“ პიესები საინტერესოა არა მხოლოდ როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები, არამედ როგორც კონკრეტული მასალა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს სრულად და საფუძვლიანად შევისწავლოთ დრამის „ეპიკური“ გადამუშავების პრინციპი, რასაც ბრეხტი თეორიულ წერილებშიც საგანგებო ყურადღებას აქცევს. ეს გასაგებობაა, ვინაიდან დრამის „ეპიკური“ გადამუშავების პრინციპი ორგანული ნაწილია მთელი იმ ესთეტიკური სისტემისა, რაც ბრეხტის „ეპიკური“ დრამისა და თეატრის საფუძველია. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენ საგანგებო ყურადღებას ვაქცევთ „ეპიკურის“ პრობლემას საეთოდ, აგრეთვე „გაუცხოვების ეფექტს“, რათა „ეპიკური“ გადამუშავების პრინციპს სათანადო ადგილი მივუჩინოთ ბრეხტის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებათა მთელ სისტემაში.

პრობლემას ჩვენ ვსწავლობთ ისტორიულ ასპექტში, „ეპიკურის“ ადრეული ელემენტებიდან გვიანდელ „გადამუშავებულ“ პიესებამდე, ვიყენებთ როგორც ადრეულ პიესებსა და კრიტიკულ შენიშვნებს, ასევე გვიანდელ თეორიულ წერილებსა და ნაწარმოებებს, ვინაიდან ისევე